პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 კვირა 17 ოქტომბერი № 245 (16675) ფასი 2 კაპ. 1976

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და ათე ხუთწლედის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის! წინ, კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისაკენ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 59-ე წლისთავისათვის

პარტია მოგვიწოდებს

ბუშინ პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 59-ე წლისთავისათვის. პარტიის ამ მგზნებარე მოწოდებებმა საბჭოთა ხალხში, თვითეული შრომელის გულში უდიდესი სიხარულის, ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის წინდა გრძნობები, ნამდვილი შემოქმედებითი აქტივობა გამოიწვია. და ყოველივე ეს, ნათელი და გასაგები, რადგან საბჭოთა ხალხისადმი მშობლიური კომუნისტური პარტიის ამ ტრადიციულ მოწოდებებში უდიდესი სიბრძნითა და სიღრმით გამოხატულია თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულებები.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, საქართველოს მშრომელები დიდი გულმოდგინებითა და აქტივობით მოღვაწეობენ პარტიის XXV ყრილობის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმისათვის. და ახლა, როცა მეათე ხუთწლედის პირველი წლის დამთავრებამდე ორთვენახევარი დარჩა, როცა ყოველი დღე და საათი გვაახლოებს ოქტომბრის დიად დღესასწაულს, სახალხო მეურნეობის ახალი ზღუდეების ასაღებად გვრაზმავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი.

დიახ, მეცხრე ხუთწლედის ამოცანები, მისი პირველი წლის დავალებების წარმატებით განადღებისათვის შრომა, 170 მილიონი მანეთის ზეგეგმითი საშრეწველო პროდუქციის გამოშვება ჩვენი მთავარი საზრუნავი და სამოქმედო პროგრამაა. ამ დიდ შრომაში საქართველოს მშრომელები კიდევ უფრო აღორთოვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გულითადმა წერილმა, რომელიც მან რუსთაველ მეფოლადეს ოთარ ლომიძეს გამოუგზავნა.

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ წარმატებით სრულდება ხუთწლედის პირველი წლის დავალებები. ხოქტომბრო შრომის ვახტზე დგანან თბილისელი ჩარხშენებლები და რუსთაველი მეტალურგები, ჭუთაისელი ავტომშენებლები და ბიათურელი მაღაროელები, ქიმიკოსები და რკინიგზელები, საქართველოს მრავალფეროვანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელები. შემოქმედებით აღმავლობას, შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის აქტივობას კიდევ უფრო ავითარებს და აღრმავებს მრეწველობის მუშაკებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება:

მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ ჩვენი სამშობლოს ინდუსტრიული ძლიერების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების შესახებ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის!

მიაღწიეთ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, საწარმოო სიმძლავრეების სწრაფ ათვისებასა და უკეთ გამოსყენებას!

ფართო გზა ახალ ტექნიკასა და პროგრესულ ტექნოლოგიას!

მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, უდავოდ დიდია სპქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მშრომელთა წვლილი მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის საერთოსახალხო ბრძოლაში. განსაკუთრებით გაგვახარეს წელს ჩვენმა მეჩაიეებმა. მათ წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის 350 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის. სოციალისტური ვალდებულებანი. მათი შრომა, მთელი ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობა ნათლად არის შეფასებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გულითადი მოლოცვაში რესპუბლიკის მშრომელებისადმი.

დიახ, ეს მაღალი შეფასება მკაფიოდ ასახავს რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობის იმ სასიკეთო შედეგებს, რომლებიც მიღწეულია ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, საზოგადოებრივ-მორალური კლიმატის გაჯანსაღებისათვის წარმოებულ გულმოდგინე მუშაობაში. ამიტომ არის, რომ ჩვენმა მშრომელებმა გულთან მიიტანეს პარტიის დამრაზმველი მოწოდება:

სახელი და დიდება სოფლის მეურნეობის მეურნეობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ორგანიზაციებსა და მუშაკებს. ყოველი ღონისძიებით უნდა განვამტკიცოთ სახელმწიფოდ და შრომის დისციპლინა, დავჩქაროთ ტექნიკური პროგრესი, ვიბრძოლოთ ამისათვის, რომ ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის მშენებლობათა ყოველი უბანი დამკვრელური შრომის უბნად გადავაქციოთ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებში ნათლად იგრძნობა საბჭოთა ხალხის დაუცხრომელი ბრძოლა მშვიდობისათვის, მსოფლიოს ყველა ხალხის თავისუფლებისათვის. იგი ნამდვილი სამოქმედო პროგრამაა ყველათვის, ვისთვისაც ძვირფასია შრომა, მშვიდობა, ხალხის კეთილდღეობა, კომუნიზმი!

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებები რაზმავს შრომითი წარმატებების მოსაპოვებლად, ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის მიჯნების ასაღებად. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლის პირველ რიგებში ხომ კომუნისტები არიან. და ხზორედ ამიტომ პარტია მიმართავს მათ:

კომუნისტებო! იუპვითო სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საუოველთაო სახალხო ავანგარდში, მასების აქტიური ორგანიზატორები და აღმზრდელები!

კრემლიდან მილებული სტრიქონების სითბო

შრომის დიდება

საქართველოს სსრ, ქალაქი რუსთავი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადეს ამხ. ო. ა. ლომიძეს

პატივცემულო ოთარ ალექსანდრეს-ძეო!

გულითად მადლობას გიძღვნით საფრანგეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუზე გულთბილი გამოხმაურებისათვის. როგორც სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა, კარგად იცით, თუ რა რთული და პასუხსაგები ამოცანები დგას პარტიისა და ხალხის წინაშე მეათე ხუთწლედში. მათი წარმატებით გადაწყვეტა საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია კონკრეტულ ფვლილზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის თვითეულ შრომითს კოლექტივს, ყველა მშრომელს შეაძლს კომუნისტური მშენებლობის, სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საერთო-სახალხო საქმეში. სულითა და გულით მივესალმები თქვენი ბრიგადის მუშებს, რუსთავის ყველა მეტალურგს მტკიცე გადაწყვეტილებას ვადამდე შეასრულონ ხუთწლედის პირველ წელს ნაკისრი ვალდებულებანი. დარწმუნებული ვარ, რომ ქარხნის მშრომელები ღირსეულად გაართმევენ თავს დასახულ ამოცანებს.

თქვენ და თქვენს ამხანაგებს, ოთარ ალექსანდრეს-ძეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, პირად გეღნიერებას, შემდგომ შრომითს წარმატებებს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

1976 წლის 15 ოქტომბერი

ლ. ბრეჟნევი

მეფოლადე ოთარ ლომიძე

ვლ. გინზბურგის ფოტო

პარტიის ზრუნვას ვუპასუხოთ დამკვრელური შრომით!

გუშინ რუსთავის ერთ-ერთ უდიდეს საწარმოს — მეტალურგიულ ქარხანას სასიხარულო ამბავი მოეფლო: მარტენის საამქროს მეფოლადემ, სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა ო. ა. ლომიძემ მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმებელი წერილი. ამასთან დაკავშირებით ჯგიმართა საწარმოს მოშენების, ინჟინერ-ტექნიკური მოშაკეობისა და მოსამსახურეების ხალხმრავალი მიტინგი.

მიტინგი გახსნა ქარხნის პარტკომის მდივანმა ჯ. ბაკრაძემ.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმებელი წერილის ტექსტი წაიკითხა საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. გიორგაძემ. შემდეგ მან თქვა:

— ძვირფასი ლეონიდ ილიასძის ამ სიტყვებს თვითეული ჩვენგანი უდიდესი აღფრთოვანებით აღიქვამს. ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ, თუ რა შეუნელებელი მამობრივი ყურადღებით ადევნებს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი თვალყურს საბჭოთა საქართველოს შრომელთა ბრძოლას კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებისათვის.

ამხანაგ ლეონიდისათვის გამოგზავნილ მისასალმებელ წერილში მეტალურგიული ქარხნის მთელი კოლექტივის, ჩვენი მრავალეროვანი ქალაქის ყველა მშრომელის მუშაობის მაღალი შეფასებაა. იგი თვალსაჩინოდ ადასტურებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, პირადად ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ ზრუნვას მუშათა კლასისათვის, მისი წარმატებებისათვის.

მაღალი შეფასება გვახარებს, მაგრამ ამასთან ერთად იგი ავალებს თვითეულ ჩვენგანს, რომ ყველა უბანზე კიდევ უფრო გავზარდოთ მთელი ჩვენი მუშაობის ეფექტიანობა, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ რუსთაველები კვლავაც პირველ რიგებში იბრძოდნენ ხუთწლედის წარმატებისათვის. სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებით დასახული იმ ამოცანების შესრულებისათვის, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების ღონისძიებანი, რომელიც ბოლო წლებში ახორციელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, სოციალურ-ეკონომიური და საზგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში ჩამორჩენის გადაჭრით დაძლევის კურსი სულ უფრო დიდ შედეგებს გვაძლევს. შესამჩნევი პოზიტიური ძვრები მოხდა რუსთავშიც. ქალაქის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს გასული ხუთწლედის დავალება და კარგი სტარტი აიღეს ახალ, მეათე ხუთწლედში.

ყოველივე ეს იმ ჩვენი სახელოვანი მშრომელების თავდადებული მუშაობის შედეგია, რომელთა ერთ-ერთი სანუკვარი წარმომადგენელი გახლავთ ამხანაგი ლომიძე.

სკკპ XXV ყრილობის წინახანებში ამხანაგმა ლომიძემ გამოიჩინა შესანიშნავი ინიციატივა, რომ 1976 წელი გამოეცხადებინათ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების წელიწადად, ყველა ნაბიჯი ერთ-ერთ ზუსტად გრაფიკის მიხედვით, 100 პროცენტით უზრუნველეყოთ შეკვეთების შესრულება და ამით მეათე ხუთწლედის პირველი წელი აღენიშნათ დამკვრელური შრომით სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის ბრძოლაში.

ეს წამოწყება საფუძვლად დაედო რუსთაველთა პატრიოტულ მორბაობას ყველგან და ყველაფერში სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის. დღეს შეჯიბრებაში დევიზით „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!“ ჩაბმულია რესპუბლიკის ასობით შრომითი კოლექტივი.

მამობრივი ზრუნვისა და გულითადი ყურადღებისათვის უღრმესი მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიას, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ოთარ ლომიძემ, მან ნიამაყით აღნიშნა, რომ რუსთავის მეტალურგებმა გაშალეს შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის და მიმდინარე წლის ცხრა თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ათეულათასობით ტონა ლითონის პროდუქცია. გადაჭარბებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულებანი ო. ლომიძემაც. მან თქვა, რომ მისი წარმატებანი განაპირობა ბრიგადის მთელი კოლექტივის, მისი ამხანაგების შეწყობილმა მუშაობამ, განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კიდევ უფრო მეტი ფვლილი შეტანოს საერთო საქმეში.

მიტინგზე გამოვიდნენ მილსაგლინავი საამქროს უფროსი რ. თხელიძე, ქიმიური ქარხნის მეაპარატე, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ნ. კირესელიძე, მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს „1000“ დგანის უფროსი გამხურებელი ა. კორიაკი, ამიერკავკასიის „მეტალურგშენის“ № 1 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. პატარაშვილი, № 3 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე შ. ალაიჩავი, მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ო. სულაძე. რუსთავის მშრომელთა სახელით მათ აღუთქვეს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, პირადად ლ. ი. ბრეჟნევს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

(საინფორმი).

• • •

ხელმრავალი მიტინგი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში

სურათზე: მიტინგზე რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. ტრიბუნაზეა ო. ლომიძე.

ხ. ადიმარაშვილის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ხუთწლედი — ვადამდე!

ხარისხის ნიშნით

ქუთაისი. რამდენიმე წელია ლითოფონის ქარხანაში მზადდება შაბიამანი, რომელსაც ქალაქში პირველს მიეკუთვნა ხარისხის ხელმწიფო ნიშანი. ახლახან აქ სიხარულო ცნობა მიიღეს — მელითოფონეთა მეორე პროდუქციას — იატაკის საღებავს მიეკუთვნა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. მისი წარმოება სულ უფრო ფართოვდება.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ კორ.

ფლიერი გეგმა შესრულებულია

უვარელი. მაღალი შრომითი მაჩვენებლებით დაამთავრა ხუთწლედის პირველი წლის სამი კვარტალი თბილისის № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის ყვარლის ფილიალის (დირექტორი მ. ბიბილაშვილი) კოლექტივმა.

ფილიალმა 9 თვეში გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა, 6.174 ათასი მანეთი პროდუქციის ნაცვლად გამოუშვა 7.343 ათასი მანეთისა და წლიურ გეგმას 7.159 ათასი მანეთით გადაჭარბა.

ფილიალის მშრომელებმა გადაწყვიტეს წლეულს გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს სამი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ა. თვალიაშვილი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

გეგმები — ვადამდე

ასპინძის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გაფართოებისათვის, ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, რძის, კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმები.

სახელმწიფოს მიპყიდეს 400 ტონა მარცვლეული — გეგმაზე 170 ტონით მეტი, 2.590 ტონა რძე გეგმით გათვალისწინებული 2.140 ტონის ნაცვლად და 630 ათასი ცალი კვერცხი — გეგმაზე 140 ათასი ცალით მეტი.

(საინფორმი).

საკლასო ცნობა

„სოიუზ-23“ ხომალდის ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 16 ოქტომბერი. (საკლესი). კოსმონავტების — ვიაჩესლავ ზუდოვისა და ვალერი როჟდესტვენსკის მეორე სამუშაო დღე „სოიუზ-23“ კოსმოსური ხომალდზე დამთავრდა დღეს, 3 საათზე მოსკოვის დროით.

ფრენის მეორე დღის პროგრამის შესაბამისად კოსმონავტები ზუდოვი და როჟდესტვენსკი აწარმოებდნენ დაგეგმილ სამუშაოებს. 15 ოქტომბერს 21 საათსა და 58 წუთზე „სოიუზ-23“ ხომალდი გადაიყვანეს „სალუტ-5“ სადგურთან მიახლოების ავტომატურ რეჟიმზე. ხომალდის მიახლოების მართვის სისტემის მუშაობის გაუანგარიშებელი რეჟიმის გამო შეპირაპირება „სალუტ-5“ სადგურთან აღარ განხორციელებულა.

ეკიპაჟი ამთავრებს ფრენას და ემზადება დედამიწაზე დასაბრუნებლად.

„სალუტ-5“ ორბიტული სამეცნიერო სადგური ფრენას განაგრძობს ავტომატური რეჟიმით.

მოკლე ვადებში მოვკრიფოთ უხეში და მოუხეშო ჩაის ფოთოლი

დიდი შრომითი წარმატება მოიპოვეს რესპუბლიკის მეჩაიეებმა, რომლებმაც მეათე ხუთწლედის პირველ წელს მოკრიფეს 356 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და დაიმსახურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილი და გულთადი მილოცვა.

ჩაის პლანტაციებში მუშაობა გრძელდება. მოსაკრეფია 11.560 ტონა უხეში და 6.700 ტონა მოუხეშო ჩაის ფფთოლი. მეჩაიეების რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ მოკლე ვადებში დაამთავრონ ეს დიდმნიშვნელოვანი მუშაობა. კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ შრომითი ენთუზიაზმი, რომელიც პლანტაციებში სუფევს, უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება უხეშში და მოუხეშო ჩაის ფოთლის კრეფისა და დამზადების გეგმისა და ზეგეგმითი დავალების უთუოდ შესრულებისათვის.

(საქინფორმი).

ქრებსითი ცხრილი

რაიონები	უხეში ფოთოლი			მოუხეშო ფოთოლი		
	გეგმა	ზეგეგმითი დავალება	სულ	გეგმა	ზეგეგმითი დავალება	სულ
ხელვაჩაურის	316	150	466	224	120	344
ქობულეთის	668	200	868	616	100	716
გალის	1028	120	1148	515	550	665
ორახმირის	947	—	947	325	—	325
გულრიფშის	70	80	150	10	—	10
ხობუმის	6	—	6	—	—	—
გუდაუთის	110	80	190	40	180	220
მაზარაძის	1545	200	1745	1010	200	1210
ჩოხატაურის	249	100	349	130	150	280
ლანჩხუთის	266	100	366	280	150	430
წულუკიძის	200	100	300	50	100	150
სამტრედიის	40	—	40	—	—	—
ქ. წყალტუბოს ზონა	200	—	200	—	—	—
ცხაკაიას	170	40	210	75	—	75
ხობის	142	50	192	80	100	180
გეგეჭკორის	434	80	514	285	150	435
ზუგდიდის	1887	—	1887	810	100	910
წალენჯიხის	1386	—	1386	320	100	420
ჩხოროწყუს	600	—	600	230	100	330
სულ	10260	1300	11560	500	1700	6700



სამეცნიერო სესია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორკონიკიძის რაიკომი აწყობენ.

სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის

გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძის

დაბადების 90 წლისთავისადმი.

სესია გაიმართება ინსტიტუტის საქმიანობა დარბაზში 1976 წლის 18 ოქტომბერს, დღის 3 საათზე (რუსთაველის პროსპექტი, 29).

16 ოქტომბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

გუშინდელი „პრავდის“ პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 59-ე წლისთავისათვის“.

ამავე გვერდზე დაბეჭდილია საკლესის ცნობა საბჭოთა კავშირში „სოიუზ-23“ კოსმოსური ხომალდის გაშვების შესახებ. ხომალდის ეკიპაჟის პოდპოლკოვნიკ ვ. დ. ზუდოვის და პოდპოლკოვნიკ-ინჟინრის ვ. ი. როჟდესტვენსკის ბიოგრაფიების და მათი ცხოვრების შესახებ ნაამბობს („სამყაროს ოკეანეში“) მკითხველი გაეცნობა მესამე გვერდზე.

ჩვენს ქვეყანაში ელექტროენერგიის გამომუშავებისა და ხარჯვის პრობლემებს ეხება ხ. ბოგადკოს წერილი „ჩვენი ენერგია“, რომელიც დაბეჭდილია მეორე გვერდზე რუბრიკით „ეკონომიური მიმოხილვა“.

მკითხველს უთუოდ დაინტერესებს ლ. კურინის საუბარი საკავშირო პროფსაბჭოს მდივანთან ლ. ა. ზემლიანიკოვასთან, რომელიც მესამე გვერდზეა გამოქვეყნებული სათაურით „ორი გამოსასვლელი დღე: როგორ გავატაროთ ახალი“.

მეოთხე-მეხუთე გვერდები მთლიანად საერთაშორისო ცხოვრების საკითხებს ეთმობა. აქვე დაბეჭდილია „პრავდის“ პოლიტიკური მიმოხილველის ვ. კორიონოვის სტატია „იზოლაცია ვუყოთ და დავამარცხოთ ანტიკომუნიზმი“.

მეექვსე გვერდზე წარმოდგენილია რუბრიკები: „ადამიანთა ბედი“, „სიახლენი“, „ხატურნირი ორბიტაზე“ და სხვ.

შესრულების კონტროლი და შემოწმება

პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა

სკკპ XXV ყრილობაზე წამოყენებული დიდებული ამოცანების განხორციელება პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების. ყველა მშრომელის მაღალ ორგანიზებულობას, აქტიურ მუშაობას მოითხოვს. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, შეიძლება გამოვლინდეს და უნდა გამოვლინდეს კიდეც პარტიისა და ხალხის ღიმშენებლობითი ენერგია. ყრილობის დახურვისას თავის გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა: „გეგმები, რომლებიც ყრილობამ მოიწონა, ძნელი, დაძაბული გეგმებია. ამოცანები, რომლებიც მან დასახა, ორიად სერიოზული ამოცანებია, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ამხანაგებო, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს გეგმები განხორციელდება, ეს ამოცანები შესრულდება“.

პარტიის რწმენა, რომ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები შესრულდება, ემყარება უდიდეს პოლიტიკურ ღომავლობას, მთელი ჩვენი ქვეყანა რომ მოიცვა, მუშიბის, გლეხების, ინტელიგენციის შრომის ენთუზიაზმს. ახალი ხუთწლეულის პირველ წელს ჩვენმა ეკონომიკამ კარგი სტარტი აიღო, განვლილი თვეები ახალი შესანიშნავი მიღწევებით აღინიშნა. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წლიური სახელმწიფო გეგმისა და შეჯიბრების მოლიონობით მონაწილის მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მტკიცე საფუძვლები შეიქმნა.

პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებები ჩვენს ხაზოგადოებას ერთადერთ სწორ, მეცნიერულად შემოწმებულ გზას — სოციალურ-ეკონომიური პროგრესის, სამშობლოს ძლიერების განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების გზას უჩვენებს. მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულება საბჭოთა საზოგადოებას საშუალებას მისცემს კიდევ უფრო მოუბერკოდეს სანუკვარ მიზანს — კომუნიზმს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის საქმიანობაში ეყრდნობა ლენინის მოძღვრების უდიდეს გარდამქმნელ ძალას, რომელიც შემდგომ შემოქმედებითად განვითარდა სოციალისტური და კომუნისტური შენებლობის პროცესში, რაც პარტიის კოლექტიური გონებრივი, მილიონობით კომუნისტთა მრავალი წლის პრაქტიკით არის გამდიდრებული. პარტია განუხრელად ასრულებს პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებსა და ხელმძღვანელობის პრინციპებს, მტკიცედ და თანამიმდევრულად იცავს მუშაობის ლენინური სტილს. ამაში მაგალითს გვიჩვენებენ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიური, სამდივნო, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევის დაუღალავი ბრძოლა ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის ხალხის სამსაზრო კაეთილშობილური მიზნების მიღწევისათვის თავდადებული ბრძოლის მაგალითია, რომლებიც წარწერილია ჩვენი პარტიის დროშაზე.

პარტიის XXV ყრილობაზე დამტკიცებული სოციალურ-ეკონომიური პროგრამა ახალ გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს, პირველად ორგანიზაციებს. საჭიროა ავამაღლოთ ყველა დონის პარტიული ხელმძღვანელობის ქმედითობა და შედეგიანობა. ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული საქმიანობის სრულყოფის საკითხი უშუალოდ უკავშირდება იმას, რომ პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო აპარატის კადრები აუცილებლად დაეუფლონ მუშაობის ლენინურ სტილს. ლენინური სტილი ითვალისწინებს პარტიული ხელმძღვანელობის ფუძემდებელი პრინციპების — კოლეგიურობის, მახლობელ კავშირის, მიღებულ გადაწყვეტილებათა შეცნიერული დასაბუთებულობის, პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის ერთიანობის, ზუსტად მოგვარებული კონტროლის — პრინციპების დაცვას. ამ სტილისათვის უცხოა სუბიექტივიზმი, იგი გამორიცხავს თვითკმაყოფილებას, უპირისპირდება ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, გულისხმობს მაღალ მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და სხვებისადმი.

ლენინური სტილის უმნიშვნელოვანესი ნიშანია შესრულების სისტემატური, ქმედითი კონტროლი, ორგანიზატორული მუშაობა მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ოქტომბრის რევოლუციის გიმარჯვებისთანავე ვ. ი. ლენინ აღნიშნავდა, რომ დადგა დრო, როცა სოციალურ-ეკონომიური განვითარების დასახული დიადი გეგმები თანამიმდევრულად და გულმოდგინედ უნდა განხორციელდეთ. ბართვის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბება, ორგანიზაციული საქმიანობის ჩვევების შეძენა, აღრიცხვისა და პროდუქტების წარმოებისა და განაწილებისადმი კონტროლის მოგვარება, შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდება — ყოველივე ეს ვლადიმერ ილიას-ძეს უპირველესი მნიშვნელობის ფაქტორად, საზოგადოების გარდაქმნის ისტორიულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის აუცილებელ პირობად მიაჩნდა: სწორედ ამას უნდა შეედგინა ახალ ეტაპზე პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი შინაარსი.

საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრის გზებს რომ განსაზღვრავდა, ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქმის პრაქტიკულ ორგანიზაციას. ახალ პირობებში მუშაობის საერთო გეგმების რეალიზაციას იგი აკავშირებდა პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებასთან, პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებასთან, კადრების მომზადებასა და შერჩევასთან. პარტიის მუშაობის გადამწყვეტ მხარედ მშრომელთა დიდ მასწავლებელს შესრულების კონტროლისა და შემოწმების ზუსტი სისტემის შექმნა მიაჩნდა. შესრულების კონტროლი და შემოწმება, ლენინის აზრით, იქცელებელი საშუალებაა, რომელიც ჩვენმა პარტიამ უნდა გამოიყენოს, რათა მშრომელთა ფართო მასებს ჩაუნერგოს ახალი სოციალისტური დამოკიდებულება შრომისადმი, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, რათა განამტკიცოს სახელმწიფო დისციპლინა. ვლადიმერ ილიას-ძის აზრით, შესრულების კონტროლი და შემოწმება საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მიზნად ისახავდა:

განმტკიცებინა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი მდგომარეობა;

გაეძლიერებინა საბჭოთა სახელმწიფოს პოზიციები; ხელი შეეწყო ქვეყნის ყოველ კუთხეში სოციალისტური მშენებლობის ორგანიზაციისა და მოგვარებისათვის;

ეფექტიანი ზემოქმედება მოეხდინა სამმართველო და მართულ სისტემებზე, საბჭოთა ადამიანების შეგნებასა და საქმიანობაზე.

ლენინის გაგებით, შესრულების კარგად დაყენებული შემოწმება დისციპლინის განმტკიცების, მინდობილი საქმისათვის მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების, მართვის მთელი სისტემის საქმიანობის გაუმჯობესების საიმედო საშუალებაა.

ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით შემუშავდა კონტროლის ძირითადი ფორმები და მეთოდები, ჩამოყალიბდა მოთხოვნები, რომლებსაც მას უყენებენ. როგორც პარტიის ორგანიზატორული მუშაობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, ეს მოთხოვნები უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ კონტროლი ხორციელდებოდეს მასების ფართო მონაწილეობით, მყარ მეცნიერულ საფუძველზე, საქმის ცოდნით, წარმოებდეს სისტემატურად, იყოს ქმედითი, იძლეოდეს დადებითს შედეგებს. ვ. ი. ლენინმა თავის შრომებში „მუშაკ-გლეხების ამოცანების, მათი გაგებისა და შესრულების საკითხისათვის“, „სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მუშაობის ახლებურად დაყენების შესახებ. წერილები ა. დ. ციურუპას“ და მთელ რიგ სხვა დოკუმენტებში ჩამოაყალიბა ზუსტი დებულებები საბჭოთა სახელმწიფოში შესრულების კონტროლისა და შემოწმების შესახებ. ამ დებულებათა არსი შემდეგი:

სოციალისტურ საზოგადოებაში ყველა უფლება, მათ შორის კონტროლის უფლებაც, ეკუთვნის მშრომელ ხალხს, როგორც თავისი ქვეყნის ერთადერთ ბატონ-პატრონს;

საზოგადოებრივი კონტროლის სისტემაში მშრომელთა ფართო წრეების ჩაბმა სახელმწიფო საქმეების მართვაში, სოციალისტური წარმოებისა და საქონლის, პროდუქტების, იარაღების, მასალების, სათბობის და სხვითა განაწილებაში მათი მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა;

კონტროლი ხელს უწყობს სოციალისტური დემოკრატიის შექმნასა და განმტკიცებას, მთელი სახელმწიფო სისტემის მუშაობის მოგვარებას, ამ სისტემიდან ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, უთანდარიგობის გამოდევნას.

კონტროლი რომ ამ მაღალ დანიშნულებას შეესაბამებოდეს, იგი, ლენინის აზრით, უნდა იყოს ობიექტური, მუდმივი, ეფექტიანი, რომელიც ხალხის ხაზოგადოებრივი ცხოვრებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს იმას, რომ საჭიროა კომუნისტური პარტიის მუდმივი ხელმძღვანელობა საკონტროლო ორგანოების საქმიანობისადმი. კონტროლის ორგანიზაციას ვლადიმერ ილიას-ძე უწინარეს ყოვლისა უდგებოდა პარტიის, როგორც წარმმართველი და დამრაზმველი ძალის, როლის ამაღლების, მისი პოლიტიკური და ორგანიზაციული საქმიანობის ერთიანობის პოზიციებიდან. მას პარტიული კონტროლი პარტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკური ხაზის ზუსტი და დროული განხორციელებისადმი ყველა სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანოს მისწრაფების ქმედითს საქმიანობის მიაჩნდა. თუ არ არის ხაზარო, კარგად დაყენებული კონტროლი, ლენინის აზრით, შეუძლებელია წარმატებით განვახორციელოთ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები, შევასრულოთ საქანონმდებლო აქტები, რომლებიც შეიცავს კონსტიტუციულ, ორგანიზაციულ-სამეურნეო, კულტურულ-მასობრივ და ყოველგვარ სხვა ღონისძიებებს, რაც არსებითად საჭიროა ახალ საწყისებზე საზოგადოების გარდასაქმნელად. თუ არ არის ზუსტად დაყენებული კონტროლი, წარმოუდგენელია იმ უდიდესი ნდობის შენარჩუნება და განმტკიცება, რომელიც პარტიამ მასებში მოიპოვა რევოლუციური გადატრიალების მსვლელობაში. პარტიის სიტყვა და საქმე განუყრელი, მტკიცედ შედუღაბებული, ერთად შერწყმული უნდა იყოს.

შესრულების კონტროლი და შემოწმება ვ. ი. ლენინს პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის სრულყოფის, არაორგანიზებულობის, უპასუხისმგებლობის ყოველგვარი გამოვლინების აღმოფხვრის, კოლექტიური შრომის პროცესის ხელმძღვანელობის მთელ საქმეში უმკაცრესი წესრიგის დამკვიდრების საიმდო იარაღად მიაჩნდა.

ვ. ი. ლენინს შემსრულებელთა მუშაობისადმი თვითკონტროლი და კონტროლი ყოველი მუშაკის უმნიშვნელოვანეს მოვალეობად მიაჩნდა. და კატეგორიულად მოითხოვდა. „...პირველ რიგში ერთი ან... ორი საათი დღე-ღამეში დაუთმოთ მუშაობის პირად შემოწმებას ...ეცადოთ გამოარკვიოთ არსი“ (თხზ. ტ. 33, გვ. 573).

შესრულების სათანადო შემოწმების უქონლობა ვლადიმერ ილიას-ძეს ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობის ძირეულ ნაკლად მიაჩნდა. იგი გადაჭრით ილაშქრებდა სხდომების სამრავლის წინააღმდეგ, იბრძოდა ქაღალდებით გატაცების შემცირებისათვის, მრავალი დადგენილების შესრულების ფრთხილი, ნაგრძელივი საქმიანი შემოწმებითა და გამოცდილების შემოწმებით შეცვლისათვის. (თხზ. ტ. 35. გვ. 570).

ლენინი მოითხოვდა მკაცრად ედევნებინათ თვალყური იმისათვის, რომ ხელმძღვანელები თავს არ ირიდებდნენ პასუხისმგებლობას, თუ საქმირო არ არის, საკითხები ზემდგომ ინსტანციებში კი არ გადაჰქონდეთ, არამედ წყვეტდნენ მათ თვითონ, თავიანთი პასუხისმგებლობით, უამისოდ, წერდა იგი, შეუძლებელია თავდაპირველ ავიცილოთ საქმის გაჭიანურება, აურზაური და ალიაქოთი, უზრუნველყოთ შესაძლებლობა ეხელიდოდეთ სამუშაოს მთლიანად, ეხელიდოდეთ მთავარს, რათა მის შესასრულებლად თავი მოგუყოროთ ჩვენს ძალებს.

ვლადიმერ ილიას-ძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ფუნქციების ზუსტ გამიჯვნას, მათთვის არადამახასიათებელი საქმეებისაგან პარტიული ორგანოების განთავისუფლებას და მუდმივ ყურადღებას უთმობდა საბჭოების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას.

დეკრეტში „სახელმწიფო კონტროლის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერს ვ. ი. ლენინი (1919 წლის აპრილი) აღნიშნულია, რომ მხოლოდ მუშათა და გლეხთა ფართო მასების ჩაბმა ქვეყნის მართვისა და მართვის ორგანოებისაგან ფართო კონტროლის საქმეში აღმოფხვრის მექანიზმის ნაკლოვანებებს, გაწმენდს საბჭოთა დაწესებულებებს ბიუროკრატიული სიბინძურისაგან და გადაჭრით წასწევს წინ სოციალისტური მშენებლობის საქმეს.

ვ. ი. ლენინის მოღვაწეობა პარტიისა და სახელმწიფოს საქმეების ხელმძღვანელობის საქმეში მოწმობს, თუ რა ბერი დროს უთმობდა პირადად იგი შესრულების შემოწმებას. ლენინის თითქმის ყველა დირექტივა და წერილი სახკომსაბჭოს მუშაკებისადმი, სხვადასხვა ცენტრალური უწყებისა და სახელმწიფო დაწესებულებისადმი მთავრდებოდა მისი მითითებებით უზრუნველეყოთ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ყველაზე გულმოდგინე კონტროლი და შემოწმება. „შეამოწმეთ პირადად. მაქსიმუმი ენერგია და სიმკაცრე“; „ნუ იყრდნობით ბრძანებებს!“; საქმის გამჭიანურებელი უნდა დაიჭიროთ და დასჯით“; „ნუ დაანებებთ. შეამოწმეთ პირადად“; „მიმართეთ საშმაგი გაფრთხილებისა და შესრულების შემოწმების ღონისძიებებს“; „უნდა მიაღწიოთ შესრულებას, რადგან საკითხს უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს“—წერდა ვლადიმერ ილიას-ძე. ამ უძეირფასეს ლენინურ დებულებებს ხორცი შეესხა X და XI პარტიული ყრილობების, მთელი რიგი პლენუმების გადაწყვეტილებებში, ცენტრალური კომიტეტის მითითებებში ადგილობრივი პარტორგანიზაციებისადმი თავიანთი მუშაობის სტილისა და მეთოდების განუხრელი სრულყოფის, საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მინდობილი საქმისათვის ხელმძღვანელი კადრების, ყველა კომუნისტის პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ. ლენინის მითითებებში გამოვლინდა მისი უდიდესი ზრუნვა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების გულმოდგინე კონტროლის დამყარებისათვის, როგორც ზემოდან ისე ქვემოდან ამ გადაწყვეტილებათა შესრულების ნამდვილად საქმიანი შემოწმების ორგანიზაციისათვის.

ლენინური დებულებები შესრულების კონტროლისა და შემოწმების ორგანიზაციის შესახებ შემდგომ განვითარდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის პროცესში, დაკონკრეტდა ახალი მითხოვნების, გაზრდილი ამოცანების გათვალისწინებით, მათ ახალი შინაარსი მიენიჭა.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში შესრულების კონტროლი და შემოწმება გადაიქცა პარტიის პოლიტიკის განხორციელების, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის სრულყოფის ერთერთ ეფექტიან საშუალებად, კადრების აღზრდის მძლავრ სამუალად.

ჩვენი პარტიის საქმიანობაში ისტორიული პერიოდი, რომელსაც ახასიათებს სკკპ XXIII, XXIV, XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელება, ღირსშესანიშნავია უდიდესი მუშაობით პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის პრინციპების დამკვიდრებისათვის, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, პარტიული ორგანიზაციათა მუშაობაში შემოქმედებითი, მეცნიერული მიდგომის ფართო გამოყენებისათვის. პარტიის დოკუმენტებში, სკკპ ყრილობებსა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე გაკეთებულ მოხსენებებში, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის შრომებში შემდგომ განვითარდა ლენინის მოძღვრება პარტიის შესახებ, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში მისი სულ უფრო მზარდი როლის შესახებ, ნაჩვენებია პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული გზები, მოცემულია პარტიაში, მომეფიებული სოციალიზმის საზოგადოებაში მიმდინარე ახალი პროცესებისა და მოვლენების დადმნიშვნელოვანი თეორიული განზოგადებანი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევმა ღრმად გააანალიზა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახალგანდ ეტაპზე, გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პროცესში შესრულების კონტროლისა და შემოწმების მდგომარეობა და ამოცანები. თავის შრომებსა და გამოსვლებში მან განსაზღვრა კონტროლის შემდგომი სრულყოფის გზები, ჩვენი ცხოვრების კონკრეტულ მოვლენებზე გვიჩვენა, რომ კონტროლი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საზოგადებრივი საქმიანობის აქტიურობაში, საბჭოთა ეკონომიკის სრულყოფაში, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის საქმიანობაში. XXV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ღონიშნული იყო, რომ მიღებულ გადაწყვეტილებათა კონტროლი და შემოწმება ორგანიზატორული მუშაობის განუყოფელი და შემადგენელი ნაწილი, თვითეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელის, თვითეული პარტიული ორგანოს, თვითეული პირველადი პარტორგანიზაციის საქმეა, აღინიშნა, რომ საჭიროა გაიზარდოს ამ საქმეში მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების სამდივნოების, პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტების, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, საბჭოების აღმასკომების, სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიების როლი. ყრილობაზე ლაპარაკი იყო იმ სერიოზულ მუშაობაზე, რომელსაც პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ეწევიან სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტი, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების პარტიული კომისიები. აღინიშნა, რომ შესრულების შემოწმებისათვის მუშაობაში დიდი ადგილი უკავია სახალხო კონტროლის ორგანოებს.

შესრულების კონტროლისა და შემოწმების საკითხებს პარტია იმიტომ კი არ უთმობს დიდ ყურადღებას, რომ თითქოს ამ მხრივ ჩვენში რაღაც საგანგაშო მდგომარეობა შექმნილიყოს, არამედ იმიტომ, რომ ახლა ამ მუშაობის სწორი ორგანიზაცია ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციის წარმატებლობის საქმიანობის აუცილებელი პირობაა.

პარტიული, სახელმწიფო, საზოგადოებრივი კონტროლის მოქმედების სფეროს თანამიმდევრული ფართოვება სოციალისტური დემოკრატიის ყოველი ღონისძიების განვითარების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმიანის მართვაში მშრომელთა ფართო მასების შემდგომი ჩაბმის წანამძღვარს ქმნის.

**მშრომელთა კონტროლი უწინარეს ყოვლისა ეკიდება სათუთიერთა საფუძველზი — სამეურნეო ცხოვრებაზე, წარმოებისა და განაწილების სფეროზე, სახელმწიფო აპარატის საქმიანობაზე. სახალხო კონტროლის ორგანოებმა, აღნიშნავდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი, წაახალისონ და განავითარონ ყოველივე ახალი, მოწინავე ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, აღმოფხვრან ნაკლოვანებები. ეცადონ, რომ უმჯობესდებოდეს საქმის საერთო მდგომარეობა, ისინი შეიტანენ ბრძოლას ერთგულ ბიუროკრატიზმისა და ადგილობრივ ინტერესებზე, ეხელიდოდეს ადამიანების,

შესრულების კონტროლი და შემოწმება პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა

(დასასრული)

შეეხო რა პარტიული დოკუმენტების როლსა და მნიშვნელობას, ლ. ი. ბრეჟნევმა, მიმდინარე წლის 19 მაისს გამართულ პარტიულ შეშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე საუბრისმთან აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტების მომზადებისას ღრმად უნდა შევისწავლოთ, საფუძვლიანად დავამუშაოთ საკითხები, რომლებზეც გადაწყვეტილებათა პროექტები მზადდება. უამისოდ ვერ მივიღებთ სწორ დადგენილებას, რომელიც საქმით უზრუნველყოფს ამ გადაწყვეტილებაში დასახულ ამოცანების გადაწყვეტას. სანამ დადგენილების პროექტს მოვამზადებდეთ და მას პარტიულ კომიტეტში, ნებისმიერ პარტიულ ინსტანციაში შევიტანდეთ, საჭიროა საკითხის გაიზრებული, ღრმა დამუშავება, ყველა მისი მხარის, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების ცოდნა.

ცნობილია, რომ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები უპირველეს ყოვლისა უნდა ეწეოდნენ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ბასებში, უზრუნველყოფდნენ უშუალოდ შრომითს კოლექტივებში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესრულებას. მაგრამ ზოგან დამკვიდრებული პრაქტიკა საკმარისად ხელს არ უწყობს ამას. ანაც ზოგიერთი საოლქო და სამხარეო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები უფრო ნკვევს, ვიდრე საჭიროების გამო, პარტიის საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ, პირველადს პარტორგანიზაციებს, უამრავ ყოველნაირ ცნობას, ინფორმაციას სთხოვენ, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ქაღალდების ნაკადს, ხელს უშლის მუშაკებს აკეთებდნენ მთავარს — მუშაობდნენ ადამიანებთან, ეწევოდნენ ძირითად საქმეს, უმაქნისი დოკუმენტების შექმნის მიზეზი ისევ და ისევ ბიუროკრატიზმია. ეს, სადაც ფიზიკუნებენ ბრძოლას ამ ბოროტების წინააღმდეგ, აუცილებლად იჩენს ხოლმე თავს ქაღალდებით ზედმეტი გატაცება, ფორმალიზმი. პარტია მოგვიწოდებს — ყოველგვარი ღონისძიებით, როგორც ორგანიზაციული, ადმინისტრაციული, ისე იდეოლოგიური ღონისძიებებით ვებრძოლოთ ბიუროკრატიზმს.

პარტიული კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც აძლიერებენ ყურადღებას შესრულების კონტროლსა და შემოწმების სრულყოფისადმი, უკანასკნელ ხანს უფრო გულმოდგინედ ეძებენ ამ შუშაობის ისეთ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ზოგიერთი ორგანიზაციაში აწარმოებენ სპეციალურ ჟურნალებს, სადაც აღინიშნება ოვითეული მიღებული გადაწყვეტილება და მისი შესრულების მამდინარეობა, ზოგან კი ადგენენ პერფორაციებს, პასპორტებს, აღრიცხვის ფურცლებს. პარტიული კომიტეტების მუშაკები, პარტორგანიზაციების მდივნები სისტემატურად ანალიზებენ სტატისტიკურ მონაცემებს, მშრომელთა წერილებსა და განცხადებებს, არსებითად მოკვეთხავენ ხოლმე იმათ, ვინც თანამდებობით უწინარეს ყოვლისა უნდა მოჰკიდოს ხელი ამის რეალიზაციას, რაც ჩაწერილია პარტიულ და სახელმწიფო დოკუმენტებში.

შესრულების კონტროლმა და შემოწმებამ, როგორც ვიცით, უნდა მოიცვას ჩვენი შუშაობის ყველა მხარე, დაკავშირებული უნდა იყოს პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკური საქმიანობის სხვა ფორმებთან. შესრულების კონტროლის ორგანიზაციაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია კომუნისტთა კრებებს. პარტიულ კრებას, რომელიც პირველადი ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა, ფართო შესაძლებლობები აქვს მდგომარეობის შესახებ კომუნისტთა ინფორმირებისათვის, იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც ხელს უწყობს საქმის გაუჯობესებას, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა უბანზე კონტროლის გაძლიერებისათვის.

ყველა პარტიულ ორგანიზაციაში გაიმართა კრებები, რომლებზეც განხილულ-ადენენ კოლექტივების ამოცანებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. აქ კისრულობდნენ გადიდებულ ვალდებულებებს, მხარს უჭერდნენ წარმოების მოწინავეთა მხრვნელოვან თაოსნობებს, გამოთქვამდნენ ენადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, წარმოების ეფექტიანობისა და შუშაობის ხარისხის შემდგომ ამაღლების საჭირო პირობების შესაქმნელად. ამჟამად პარტიული ორგანიზაციები კრებებზე შეძუშავებული ღონისძიებების საფუძველზე ყოველხაირად ავითარებენ შეჯიბრებას, რაზმავენ კოლექტივებს დიდად ნაყოფიერი შრომისათვის, აგვარებენ სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისადმი ქმედითს კონტროლს. სწორედ პირველად პარტორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიღებისა და მისი პრაქტიკული განხორციელების კავშირი განსაკუთრებით მჭიდრო და განუყოფელია. გადაწყვეტილებას რომ იღებს, პარტორგანიზაცია მაშინვე სცანს მისი განხორციელების გზებსაც. მისი მოვალეობა ყოველდღიურად დარაზმოს კომუნისტები კოლექტიურად შემუშავებული გადაწყვეტილების შესასრულებლად აქტიური შუშაობისათვის.

ბევრ პირველად ორგანიზაციაში მოქმედებს ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლების განმახორციელებელი კომისიები. ამ კომისიების დამსარებათ პარტიული ორგანიზაციები კონკრეტული ფორმით გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაზე, აბამენ კომუნისტებს პარტიული კონტროლის საქმეში, უნერგავენ მათ ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობას. კომისიებს სწორი ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლიათ შეასრულონ ეს ასრულებენ კიდეც დიდ შუშაობას პარტორგანიზაციების მიერ დასახული ღონისძიებების რეალიზაციისადმი სისტემატური კონტროლისათვის.

ლენინის მითითებები შესრულების შემოწმების ორგანიზაციის შესახებ აუცილებლად გულისხმობს ფართო საჯაროობას. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ მნიშვნელოვანი გამოცდილება, გავუზიაროთ ერთმანეთს აზრი, გავაკრიტიკოთ ისინი, ვინც მთელი ძალით, კეთილსინდისიერად არ მუშაობს. ვ. ი. ლენინი ირაერთგზის ხაზგასმით აღნიშნავდა საჯაროობის მნიშვნელობას, რაც უწინარეს ყოვლისა შუშაობა, გლეხთა საერთო კრებების საშუალებით ხორციელდება. ამ საშუალების გამოყენება ბევრად აძლიერებს კონტროლის ქმედითობას. პარტიული ორგანიზაციები ახლა უფრო მეტად ზრუნავენ შუშაობა და კოლმეურნეობა კრებებს, საწარმოო თათბირების როლის ამაღლებისათვის. მშრომელთა კოლექტივებში ამა თუ იმ სამეურნეო და საზოგადოებრივი პრობლემების განხილვა საშუალებას გვაძლევს ადამიანებს ჩავუნერგოთ მისწრაფება ინიციატიოთ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, არ დაუშვან ისინი მომავალში.

დასახული გეგმებისა და მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციაში დიდი ადგილი უკავია პროფკავშირებს, კომკავშირს, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. პარტიული ორგანოები, რომლებიც არ მიმართავენ დუბლირებას და არ ცვლიან მათ, მოკალენი არიან ყოველნაირად განავითარონ მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციების ინიციატივა და აქტიურობა, მათი საქმიანობის შედეგებისათვის უფრო მეტად მოკკითხონ მა ორგანოებში დასაქმებულ კომუნისტებს. შრომითი კოლექტივების ცხოვრებაში საგრძნობ როლს ასრულებენ აგრეთვე სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები. მათი საშუალებით შუშავდა და მოსამსახურეებს აბამენ სახელმწიფოს საქმეების მართვაში, ისინი მონაწილეობენ პარტიისა და მთავრობის დირექტივების, ჩვენი სოციალურ-ეკონომიური გეგმების შესრულებისადმი შეუდგამოქმედი და საჯარო კონტროლის ორგანიზაციაში.

პარტიული ორგანიზაციების ინიციატივის განვითარებას, პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისადმი მათი ყურადღების გაძლიერებას დიდად უწყობს ხელს კარგად მოგვარებული ინფორმაცია. ამ ბოლო დროს ქვემოდან ზემოთ და ზემოდან ქვემოთ ინფორმაციის დაყენება უფრო მრავალმხრივი და შინაარსიანი გახდა. ასეთი ინფორმაციის წყალობით პარტიულ კომიტეტებს შესაძლებლობა აქვთ ოპერატიულად გამოეხმაურონ პირველადს პარტორგანიზაციაში, შრომითს კოლექტივებში მომხდარ ყველა მოვლენას. თავის მხრივ, პარტიული მასები ახლა უკეთ იცნობენ პარტიული ორგანოების ყოველდღიურ საქმიანობას და, მაშასადამე, შეექმნათ შესაძლებლობა უფრო სრული და ღრმა გავლენა მოახდინონ ამ საქმიანობაზე.

კომუნისტური პარტია, რომელიც პარტიის პოლიტიკური ხაზის განხორციელებაში, სახელმწიფო მართვას მთელი მექანიზმის სრულყოფაში შესრულების კონტროლისა და შემოწმების მაღალეფექტურ როლს ამკვიდრებს, მოითხოვს, რომ კონტროლს სათავეში უდგნენ არა მეორეხარისხოვანი პირნი, არამედ პასუხისმგებელი მუშაკები, უპირველეს ყოვლისა თვით ხელმძღვანელები.

ამ ბოლო დროს ბევრმა პარტიულმა კომიტეტმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებებით და რეკომენდაციებით, საგრძნობ შედეგებს მიაღწიეს: ისინი სამეურნეო და სხვა ხელმძღვანელებს უნერგავენ მინდობილი საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას, ამაოენენ მათდამი მომთხოვნელობას. მეტი წილი სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სახალხო მეურნეობის დარგების მიერ მეცხრე ხუთწლედის და მეათე ხუთწლედის პირველი წლის განვლილი თვეების გეგმების წარმატებით შესრულება მოწმობს, რომ ჩვენს ეკონომიკას ხელმძღვანელობენ ადამიანები, რომლებისთვისაც **პარტიის გადაწყვეტილებები, მისი მითითებები წმინდათაწმინდა საქმე, გარდაუვალი კანონი.** ისინი მთელ თავიანთ ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას **პარტიისა** და მთავრობის დირექტივების **შემოქმედებითად განხორციელებას** ახმარენ.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა **შესრულებისათვის** რომ იბრძვიან, პარტიულ ორგანიზაციებს ესმით, რომ კიდევ უფრო მეტი გულმოდგინეობით უნდა სრულყოფდნენ ხელმძღვანელობის მეთოდებს, თვითეულ მუშაკს უნერგავდნენ საქმის წარმატებით წარმოებისათვის პირადი **პასუხისმგებლობის გრძნობას.**

პარტიულ ორგანიზაციებს აქვთ **იმის** გაკონტროლების ბევრი ხერხი, თუ როგორ ასრულებენ ხელმძღვანელები ამა თუ იმ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ბიუროს, პარტიული კომიტეტის სხდომაზე, პარტიულ კრებაზე მეურნის ანგარიში მისი მუშაობის ქმედითი კონტროლის საშუალება და ამავე დროს მისდამი დახმარების ერთ-ერთი ფორმაა. ანგარიშების განხილვისას საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რამდენად შემოქმედებითად, ინიციატივიანად ეკიდება ხელმძღვანელი თავის საქმეს, აწარმოებს ამ საქმეს ცენიერებს, კეთილად მართვის მეცნიერების მიღწევებს გათვალისწინებით, თუ ძველებურად, ინერციით მოქმედებს, ხომ არ გაჩერებულა თავის ზრდაში როგორც სპეციალისტი, ხომ არ ჩამორჩა ცხოვრებას.

„თანამედროვე ხელმძღვანელის პიროვნებაში, — თქვა ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ორგანულად უნდა იყოს შერწყმული პარტიულობა და ღრმა კომპეტენტურობა, დისციპლინირებულობა და საქმისადმი ინიციატივანი, შემოქმედებითი მიდგომა. ამავე დროს ყოველ უბანზე ხელმძღვანელი მოვალეა თვალისწინებდეს სოციალურ-პოლიტიკურ, აღმზრდელობით ასპექტსაც, იყოს გულისხმიერი ადამიანებისადმი, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი, მაგალითს იძლეოდეს მუშაობასა და ყოფაცხოვრებაში“.

სწორედ ასეთ ხელმძღვანელებს შეუძლიათ უზრუნველყონ ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, რომლებიც ამჟამად დასახულია სოციალისტური ეკონომიკის წინაშე, ჩვენი საზოგადოების წინაშე. **პარტიული** კომიტეტების მოვალეობა ის არის, რომ ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობა განუწყვეტლივ უმჯობესდებოდეს, რომ მაღლდებოდეს კრიტერიუმები მათ საქმიანობის შეფასებისას. ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ სამეურნეო, სახელმწიფო, საზოგადოებრივი საქმიანობის ყოველ უბანზე იყვნენ **ფართო პოლიტიკური და კულტურული მსოფლმხედველობის, მაღალი კვალიფიკაციის** ადამიანები, ისეთი ადამიანები, რომლებიც ღრმად ერკვევიან თანამედროვე ცხოვრების ძირეულ პრობლემებში, სოციალურ პროცესებსა და მოვლენებში. თვითეულ ხელმძღვანელს უნდა ახასიათებდეს ადამიანებთან მუშაობის უნარი, იმის უნარი, რომ გაიყოლიოს მასები. ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა მათი რეგულარული ანგარიშება შრომითი კოლექტივების წინაშე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა პარტიამ მუშაობის ეს ფორმა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველივე დღეებიდან გამოიყენა. ჯერ კიდევ 1921 წელს ვ. ი. ლენინი გვირჩევდა „რეგულარულად მოვიწვიოთ არა მარტო საერთო კრებები მუშათა და გლეხთა მასებისათვის, არამედ მოვაწყოთ ყველა პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა საქმიანი ანგარიშება მუშათა და გლეხთა მასების წინაშე. ასეთი ანგარიშება სავალდებულოა მოეწყოს თვეში სულ ცოტა ერთხელ მაინც, რათა მასას შეეძლოს საბჭოთა დაწესებულებებისა და მათი მუშაობის კრიტიკის შესაძლებლობა“ (თხზ. სრ. კრ., ტ. 43, გვ. 253,).

ლენინის ამ მითითებების სრული **შესაბამისობით** სკკპ XXIV ყრილობაზე რეკომენდებულია **რეგულარულად** მოვაწყოთ ხელმძღვანელთა ანგარიშება მუშათა წინაშე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ბრეჟნევმა თქვა: „საჭიროა განვავითაროთ ისეთი პრაქტიკა, როცა გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, აგრეთვე სამინისტროთა ხელმძღვანელი მუშაკები მუშაობის შესახებ რეგულარულად აბარებდნენ ანგარიშს უშუალოდ მუშებს“. გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ხელმძღვანელთა, თანამდებობის პირთა გამოსვლები შრომითს კოლექტივებში ზრდის მათს პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის. ასეთი პრაქტიკა უაღრესად სასარგებლოა, იგი უდიდეს როლს ასრულებს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი ქმედითი კონტროლის მოგვარებაში. ხელმძღვანელისა და მასების უშუალო ურთიერთობა საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ ამა თუ იმ სამეურნეო-ორგანიზაციული ღონისძიების ეფექტიანობა, დროზე აღვნიშნოთ ხარვეზები და ნაკლოვანებები, მივაღწიოთ სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების უფრო სრულებას.

კონტროლის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფუნქციაა მართვის აპარატის საქმიანობაზე გავლენის გაძლიერება. ჩვენში ჯერ კიდევ ხშირია საგეგმო და საფინანსო დისციპლინის დარღვევის, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში შეფერხებების, საშენი მასალების, მოწყობილობის, სათბობის, ნედლეულის, მაკომპლექტებელი დეტალების მიწოდებებში შეუთანხმებლობის შემთხვევები. XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მთელი სულისკვეთება და აზრი მოითხოვს გადამჭრელ ბრძოლას ამგვარი პრაქტიკის წინააღმდეგ. პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი სწორად ორგანიზებული კონტროლი უთუოდ დაგვეხმარება აღმოვფხვრათ საქმისადმი ვიწრო უწყებრივი მიდგომა, ბოლო მოვუღოთ კუთხურობას, თავის დაზღვევის ტენდენციებს, თვალისახვევას.

თავისთავად რაც უნდა კარგი იყოს კონტროლის ესა თუ ის სისტემა, ესა თუ ის მეთოდი, ისინი ცალიელ ფორმად, მკვდარ სქემად დარჩება, თუ ადამიანები შეეჩვევნენ მხოლოდ ზემოდან მითითებით მოქმედებას, თუ თვითონ არ კისრულობენ პასუხისმგებლობას. ნამდვილი ქმედითი კონტროლი შეუთავსებელია მექანიკურ შემსრულებლობასთან. იგი აუცილებლად გულისხმობს საქმისადმი შემოქმედებითს მიდგომას. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აკრიტიკებდა იმ მუშაკებს, რომლებიც „ცდილობენ თავი აარიდონ ვადაწყვეტილებებს, თვითეულ საქმეში აუცილებელ გონიერულ რისკს, პირადს პასუხისმგებლობას. თავდაზღვა ისინი ფიქრობენ არა იმდენად იმაზე, რომ უკეთ მოგვარონ მუშაობა, რამდენადაც იმაზე, რომ ყოველი მხრიდან ქაღალდებით თავი დაიზღვიონ შესაძლო ნავარღნის შემთხვევისათვის. ასეთი ადამიანები ჩვენს აპარატში, რა თქმა უნდა, არც ისე ბევრია, მაგრამ მათაც შეუძლიათ დიდი ზიანი მოგვაყენონ“.

საჭიროა უკომპრომისოდ გავილაშქროთ მართვის აპარატის იმ მუშაკთა წინააღმდეგ, რომლებიც არსებული რეზერვების მობილიზაციის ნაცვლად ზემდგომი ორგანოებისაგან ითხოვენ გეგმების შესრულების უფრო შეღავათიან პირობებს, ებრძვიან დავალებათა შემცირებისა და მათი შესრულების ვადების ვახანგრძლივებისათვის. და ახლაც ზოგან ჯერ კიდევ ვხვდებით ფაქტებს, როცა ზემდგომ ორგანოებს მიმართავენ თხოვნით გადაწყვეტონ ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტის ყველა შესაძლებლობა იდგილზე არის. შეიძლება შეგვხვდეს ისეთი მუშაკებიც, რომლებსაც პირადი სიმშვიდისათვის საჭიროდ არ მიაჩნიათ ხელი მოჰკიდონ საქმეებს, რომლებიც თუმცა კი სახავენ მეურნეობრიობის ახალ ეფექტიან გზებს, მაგრამ დაკავშირებულია სიძნელეების გადალახვასთან, გარკვეულ რისკთან. ადამიანებს უნდა ჩავუნერგოთ მუდმივი მისწრაფება—ოფიქრონ, ეძებონ, გასწორონ გონივრული საწარმოო რისკი.

მუდმივი კონტროლი გავუწიოთ არა მარტო იმ უბნების ხელმძღვანელთა მუშაობას, რომლებიც ჩამორჩებიან, ვერ ასრულებენ გეგმებს, არამედ ყველა თანამდებობის პირის მუშაობას, — აი რას გვასწავლის პარტია. შესრულების კარგად დაყენებული შემოწმება დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცების, მუშაობის შესაძლო ჩაშლისა და ჩავარდნების თავიდან აცილების საიმედო საშუალებაა.

პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევებს არ შეიძლება გულგრილად მოვეკიდოთ იმიტომ, რომ ისინი არა მარტო ფუშავენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, შლიან საქმეს, რომელიც მათ ეკისრებათ, არამედ ხელს უშლიან სხვებს წინსვლაში. არანაკლებ ზიანს გვაყენებენ ის მუშაკები, რომლებიც კრიტიკულად ვეღარ აფასებენ მიღწეულ შედეგებს, ცდილობენ მიჩქმალონ ნაკლოვანებები. კომუნისტური პარტია, რომელიც ხორცს ასხამს ორგანიზატორულ მუშობასთან კონტროლის განუყრელი კავშირის შესახებ ლენინურ დებულებებს, უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახალხო ინიციატივის განვითარებასა და მხარდაჭერას. ამჟამად სულ უფრო ვრცელდება ორგანიზატორული საქმიანობის ისეთი მხარეები, როგორიც არის **შრომის ახალი პროგრესული ხერხებისა და მეთოდების გამოვლენა, გამოცდილების გაზიარება, სასარგებლო თაოსნობათა მხარდაჭერა.** პარტიას თავის ამოცანად ის მიაჩნია, რომ ასეთი პრაქტიკა ყველა პარტიული კომიტეტისა და მათი ხელმძღვანელების, ყველა კომუნისტის კუთვნილება გახდეს.

ნოვატორთა ინიციატივისადმი ყველაზე ყურადღებიანი და მზრუნველი დამოკიდებულების მაგალითს იძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. როცა ცნობილი გახდა კრასნოდარის მხარის სოფლის მშრომელთა შესანიშნავი ინიციატივა, რომლებმაც გადაწყვიტეს წლეულს სახელმწიფოს მიჰყიდონ 4 მილიონ 400 ათასი ტონა მარცვლეული — შესყიდვის დადგენილ მოცულობასა და წინათ ნაკისრ ვალდებულებებზე მნიშვნელოვნად მეტი, ლ. ი. ბრეჟნევმა გულითადად მიიწონა ეს ინიციატივა. მის წერილში ყუბანელებისადმი ნათქვამია „ეს მკაფიოდ მოწმობს, რომ კრასნოდარის მხარის მშრომელები კონკრეტული საქმეებით უჭერენ მხარს სკკპ XXV ყრილობაზე მიღებულ პარტიის ეკონომიურ პოლიტიკას, ისწრაფვიან მეათე ხუთწლედის პირველი წელი აღნიშნონ მისი წარმატებით განხორციელების საქმეში შეტანილი დიდი წვლილით“.

წერილში გამოთქმულია მტკიცე რწმენა, რომ მათს კეთილშობილურ მაგალითს ფართოდ დაუჭერენ მხარს ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში, რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დიდი კმაყოფილებით აღიქვამს მთელი საბჭოთა ხალხი.

რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიული სატრანსპორტო სამმართველოს მოწინავე მძღოლებმა გამიზნეს, რომ მზად არიან გადაჭრიბებით შეასრულონ ახალი მოსავლის პურის გადაზიდვის გეგმები და ამასთან დაკავშირებით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მიმართეს. მოწინავე მძღოლებისადმი თავის პასუხში ლეონიდ ილიას-ძემ მხარი დაუჭირა მათს ინიციატივას. „დიდი კმაყოფილებით წავიკითხე თქვენი წერილი, რომელშიც მარცვლის გადაზიდვაში მიღწეულ შედეგებს მაცნობებთ, — წერს ლ. ი. ბრეჟნევი,—უმაღლესი შრომის ნაყოფიერებისათვის, ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის გაჩაღებული პატრიოტული მოძრაობა, რომელიც ქვეყნის სოფლის მეურნეობის წარჩინებულმა მექანიზატორებმა დაიწყეს, ფართოდ ვრცელდება“. პასუხში გამოთქმულია რწმენა, რომ მოწინავეთა თაოსნობა საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად ავამაღლოთ მოსავლის გადაზიდვაზე მომუშავე ავტომობილების მწარმოებლობა.

ყველა პარტიული კომიტეტის, ყველა პარტიული ორგანიზაციის მოვალეობაა ყოველნაირად დაუჭიროს მხარი სახალხო ინიციატივას, უფრო ფართოდ გაავრცელოს წარმოების მოწინავეების, საუკეთესო კოლექტივების გამოცდილება. და ამ დიდ მუშაობაში დიდი მნიშვნელობა, ზოგჯერ კი გადამწყვეტი მნიშვნელობაც ენიჭება შესრულების სწორად ორგანიზებულ კონტროლს.

შესრულების კონტროლი და შემოწმება განუყოფელად არის დაკავშირებული **კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველი ღონისძიებით განვითარებასთან.** ამ მხარეს ეთმობა ყურადღება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ტამბოვის საოლქო პარტიული ორგანიზაციაში კრიტიკისა და თვითკრიტიკის მდგომარეობის შესახებ“. როცა კომუნისტებსა და უპარტიოებს შესაძლებლობა აქვთ გაბედულად ამხილონ ნაკლოვანებები და შეცდომები, გააკრიტიკონ ისინი, ვინც ნაკლოვანებებს ურიგდება, ამით კონტროლი ნამდვილად მასობრივ ხასიათს იძენს. მშრომელთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების, წერილებისა და განცხადებების, პრესის სიგნალების ღრმა ანალიზი საშუალებას აძლევს ხელმძღვანელებს დაინახონ მისდამი დაქვემდებარებელ უბანზე საქმის მდგომარეობის სრული სურათი, გამოიტანონ საჭირო დასკვნები, განახორციელონ დასაბუთებული და რეალური ღონისძიებები მდგომარეობის გამოსასწორებლად იქ, სადაც გაჩნდა სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შეუსრულებლობის საფრთხე, გამოვლინდა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევები.

საქმის ძირეული გაუჯობესებისათვის, გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ორგანიზატორული მუშაობა კონტროლის სული და გული. ყველა ფორმის კონტროლის საბოლოო მიზანი ის არის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულება, მივაღწიოთ იმ ამოცანების განხორციელებას, რომელსაც პარტიული ორგანიზაცია ისახავს.

ცხოვრება სულ უფრო დაბეჯითებით გვიკარნახებს, რომ საჭიროა კიდევ უფრო განვავითაროთ და სრულყოთ კონტროლი საზოგადოებრივი და საწარმოო საქმიანობის ყველა სფეროში. საქმე ეხება იმას, რომ კონტროლი პარტიის ერთგული, საიმედო თანაშემწე გახდეს მისი პოლიტიკური კურსის განხორციელებაში. ჩვენ გვეჭირდება ისეთი **კონტროლი, რომელიც გვჭრდის, გვიღვიძებს შემოქმედებითს აზრს, გვაძლებინებს დაუცხრომელი ენერგიის გზებს, ამაღლებს შუშაობას მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების უმაღლეს მიღწევათა დონემდე. გვეხმარება უკეთ დავინახოთ ჩვენი აღმშენებლობითი საქმიანობის პერსპექტივა.**

პარტიის, ყველა მისი ორგანიზაციის ყოველდღიური ცხოვრება გვარწმუნებს, რომ შესრულების კონტროლისა და შემოწმების ორგანიზაციის — ორგანიზატორული მუშაობის შემადგენელი ნაწილის — ღონისძიებათა ეფექტიანობა, ამ ბრძოლის ინტენსიფიკაციის გზებზე.

ჟურნალი „პარტიინაია ჟიზნ“ № 19, 1976 წ.

---

17 ოქტომბერი კვების მრეწველობის მუშაკთა დღეა

პროდუქტი — მეფე, ხარისხოვანი!

ასეთია კვების მრეწველობის ინდუსტრიის ამოცანა მეათე ხუთწლედში

ხაბეჭდილ ქვეყნის კვების მრეწველობის მუშაკთა მრავალმილიონიანი არმია წარმატებით ეგებება თავის დღესასწაულს — კვების მრეწველობის მუშაკთა დღეს. მეგანდ სასიხარულოა, რომ ამ მხრივ არც ჩვენი სისტემის 67-ათასიანი კოლექტივი დარჩენილა სამშობლოს წინაშე ვალში. საქართველოს კვების მრეწველობის მუშაკებმა მეცხრე ხუთწლედში სახელმწიფოს მიაწოდეს 280 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

მეათე ხუთწლედის პირველი წელი რესპუბლიკის კვების მრეწველობის ყველა ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების შემდგომი ზრდის წელიწადი იქნება. ამას ადასტურებს განვლილი ცხრა თვის მაჩვენებლები. ამ პერიოდში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 28,3 მილიონი მანეთის პროდუქცია. მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ამავე პერიოდთან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის ზრდის ტემპმა შეადგინა 104,7 პროცენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 102,4 პროცენტისა.

9 თვის საწარმოო დავალებები წარმატებით გაანაღდა სამინისტროს ყველა საწარმოო გაერთიანებამ. განსაკუთრებით მადალ მაჩვენებლებს მიაღწია სამრეწველო გაერთიანების „საქართველოს ჩაის“ კოლექტივმა, რომელმაც გეგმის ზევით 15 მილიონი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინა, რასაც, რასაკვირველია, ხელი შეუწყო ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეთა ბეშმარიტად გმირულმა შრომამ.

ეს დიდი გამარჯვება საქართველოს მშრომელებს გულითადად მიულოცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, რაზედაც კვების მრეწველობის შუშაკებმა მტკიცე სიტყვა მისცეს მშობლიურ პარტიას, რომ დამკვიდრულ ტრადიციებს ერთგულ-ადგენენ ამ ბრძოლაში ბრძოლაში ბრძოლაში

მსოფლიოს ამბები

ფაქტები
პრობლემები

საკვანძო

გულითადი შეხვედრა

სტუმრად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშებთან

იენა. (საკადრო). საბჭოთა კოსმონავტები ვ. თ. ბიკოვსკი, ვ. ვ. აქსიონოვი, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფებიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ე. ჰონეკერის მოწვევით, ეწვივნენ სახალხო საწარმო „კარლ ცეის იენას“ მისი კოლექტივისათვის სამახსოვრო დღეს. მრავალზონალური ფოტოაპარატურის შექმნაში დიდი დამსახურებისათვის საწარმო დაჯილდოვეს კარლ მარქსის ორდენით.

ხალხმრავალ მიტინგზე „კარლ ცეის იენის“ კოლექტივს მაღალი ჯილდო გადასცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ჰაგერმა.

მიტინგზე გამოსულმა ვ. თ. ბიკოვსკიმ და ვ. ვ. აქსიონოვმა ხაზი გაუსვეს, რომ მათთვის დიდად სასიხარულოა ამ ღირსშესანიშნავ დღეს იმ ოსტატებთან ყოფნა, რომლებმაც შექმნეს შესანიშნავი აპარატურა შეუფერხებლად რომ მუშაობდა კოსმოსურ „სოიუზ-22“ საბჭოთა ხომალდზე.

საბჭოთა კოსმონავტები მიტინგის შემდეგ გაეცნენ საწარმო „კარლ ცეის იენის“.

შემდეგ ვ. თ. ბიკოვსკიმ და ვ. ვ. აქსიონოვმა დაათვალიერეს ყოფილი ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკი ბუჰენვალდი, სადაც ჰიტლერ სცეს ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნას.

შეთქმულება ჩაიფუშა

კომორის უშიშროების ორგანოებმა აღმოაჩინეს რეაქციული ძალების შეთქმულება

ანტანანარივუ. (საკადრო). კომორის უშიშროების ორგანოებმა აღმოაჩინეს რეაქციული ძალების შეთქმულება, ოომლის მიზანი იყო ქვეყნის ახლადნაფილი მთავრობის დამხობა.

მორონში გამოქვეყნებულ კომორის სახელმწიფოს საზოგადოებრივი უშიშროების სამმართველოს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ შეთქმულება მოამზადეს იმპერიალისტურმა წრეებმა და შინაურმა რეაქციამ. შეთქმულთა სათავეში იდგა სახელმწიფოს ყოფილი მეთაური აჰმედ აბდალა, რომელიც გასული წლის 3 აგვისტოს დაამხეს. გამორკვეულია აგრეთვე კუნძულ მაიოტის სპპარატისტთა მეთაურის მარსელ ანრის მონაწილეობა შეთქმულებაში. რეაქციონერები, ხაზგასმულია კომუნიკეში, გეგმავდნენ რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან დაქირავებულთა რაზმების გადასხმას კომორის კუნძულებზე.

ამქამად ქვეყნის ყველა რაიონში იმართება მასიფესტაციები მთავრობის მხარდასაჭერად. მათი მონაწილენი გულისწყრომით აცხადებენ პროტესტს იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და მათი დამქაშების ძირგამომთხრელი მოქმედების წინააღმდეგ აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციის წევრი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიმართ.

ოქროს შემოდგომა

შემოდგომის ოქროსფერი ხამოსით მორთული ვაზი. ოქტომბერი მოსავლის მასობრივი კრეფის ხანაა. ოდითგანვე რთველი, შრომის, სიუხვის დღესასწაულია. ათასობით ტონა ყურძენს მიჰყიდიან სახელმწიფოს ხუფწლედის პირველ წელს საქართველოს მეკვანახეები.

ეს ფოტოსურათები გადაღებულია თელავის რაიონის სოფელ ბუშეტის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში რთველის დროს.

ხურათებზე: კომკავშირელი დოდო კოპეშაძე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მევენახე გახდა. იგი ყოველდღიურად 450-500 კილოგრამ ყურძენს კრეფს, დავალებაზე ერთიორად მეტს (ზემოთ); ტრადიციისამებრ ახალი მოსავლის პირველ მაჭარს სინჯავს უხუცესი კოლმეურნე 80 წლის თედო კუპატაძე (მარცხნივ შუაში); როგორ არ ჩაიკოკლოზინოს ყელი პატარა ირაკლიმ პაპა ირაკლის მიერ დაკრეფილი ყურძნის პირველი მტევნებით (ქვემოთ მარცხნივ); კახეთში ახლა ვერ ნახავთ ოჯახს, სადაც ჩურჩხელებს არ ამზადებდნენ. ვანო გულმოდგინედ ეხმარება ჩურჩხელებია ამოვლებაში ბებია ბაბულიას.

ა. ნაკაოვისა და ე. ეგინოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ოქროს შემოდგომა

შემოდგომის ოქროსფერი ხამოსით მორთული ვაზი. ოქტომბერი მოსავლის მასობრივი კრეფის ხანაა. ოდითგანვე რთველი, შრომის, სიუხვის დღესასწაულია. ათასობით ტონა ყურძენს მიჰყიდიან სახელმწიფოს ხუფწლედის პირველ წელს საქართველოს მევენახეები.

ეს ფოტოსურათები გადაღებულია თელავის რაიონის სოფელ ბუშეტის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში რთველის დროს.

ხურათებზე: კომკავშირელი დოდო კოპეშაძე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მევენახე გახდა. იგი ყოველდღიურად 450-500 კილოგრამ ყურძენს კრეფს, დავალებაზე ერთიორად მეტს (ზემოთ); ტრადიციისამებრ ახალი მოსავლის პირველ მაჭარს სინჯავს უხუცესი კოლმეურნე 80 წლის თედო კუპატაძე (მარცხნივ შუაში); როგორ არ ჩაიკოკლოზინოს ყელი პატარა ირაკლიმ პაპა ირაკლის მიერ დაკრეფილი ყურძნის პირველი მტევნებით (ქვემოთ მარცხნივ); კახეთში ახლა ვერ ნახავთ ოჯახს, სადაც ჩურჩხელებს არ ამზადებდნენ. ვანო გულმოდგინედ ეხმარება ჩურჩხელებია ამოვლებაში ბებია ბაბულიას.

ა. ნაკაოვისა და ე. ეგინოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ქალი ხეზონი — გეგმები, ფიქრები

თეატრალური ქუთაისი

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის გეგმებზე ახალ სეზონში, რომელიც გაიხსნა გუშინ, 16 ოქტომბერს, „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ბუბუ ქასუმარაძე.

— ახალი სეზონის გახსნისათვის თეატრმა მოამზადა სპექტაკლი „დიდოსტატის მარჯვენა“ კოსტანტინე გამსახურდიას ცხობილი რომანის მიხედვით.

მზადდება კიდევ ორი პრემიერა — ა. ჩხაიძის „თავისუფალი თემა“, რომელიც ჩვენი საზოგადოების ზოგიერთ მწვავე საკითხს ეხება, და მოლიერის კლასიკური კომედია „ძალად ექიმი“. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ 100 წლისთავისათვის თეატრი წარმოადგენს სპეციალურ დადგმას.

თეატრის კოლექტივი ამთავითვე ემზადება ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავისათვის. ამ დღესასწაულს მიეძღვნება რუსი დრამატურგის ბ. პატროვის „ნ ივლისი“.

გარდა ამისა, სცენაზე წლევანდელ სეზონში წარმოდგენილი იქნება ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“, ვ. იაქაშვილის „ჰორიზონტს იქით“, ჯ. ბაიერის „ინციდენტი“, რ. გაბრიაძის „ძაღლის პარასკევი“, ა. დიუმას „სამი მუშკეტერი“, ი. ბეგიაშვილის პიესა-დეტექტივი...

თეატრი მწერალ რ. ჭეიშვილთან ერთად მუშაობს მისი რომანის („ეალაქში დინოზავრები დადიან“) სცენარ ვარიანტზე.

ჩვენი თეატრი კარს უღებს ყველას — მწერალს, რეჟისორს, მხატვარს, კომპოზიტორს, ვისაც ჩვენთან თანამშრომლობა სურს. ვაწარმოებთ მოლაპარაკებას მოსკოველ და ლენინგრადელ რეჟისორებთან. ცალკე დადგმებისათვის / მომავალ სეზონში მოვიწვევთ ჩვენი რესპუბლიკის ცნობილ რეჟისორებს. გადაწყვეტილი გვაქვს ფართოდ მოვეძსახუროთ მეზობელ რაიონებს. გავმართავთ წარმოდგენებს წყალტუბოში, ტყიბულში, მაიაკოვსკში, თერჯოლაში, წულუკიძეში, ვანში და სხვ. ამ საქმეს ჩვენი კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდება.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, წვიმა, ზოგან ძლიერი, იქროლებს დასავლეთის ქარი. ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 16-21, მთებში 11-16 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოშიც მოღრუბლული ამინდი და წვიმა მოსალოდნელი, მტკვრის ხეობაში იქროლებს დასავლეთის ქარი, დაბლობ რაიონებში 17-22, მთებში 10-15 გრადუსი იქნება.

თბილისში მოსალოდნელია წვიმა, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა — 20-22 გრადუსი.

ფეხბურთის მოედნებზე

„გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთელთა საშემოდგომო პირველობის მეთერთმეტე ტურის ხუთი მატჩი.

ამ ტურის ცენტრალური თამაში იყო ერთპირიანი ლიდერის მოსკოვის „ტორპედოსა“ და ქვეყნის შაშანდელი ჩემპიონის კიევის „დინამოს“ შეხვედრა. კიევში წამოიწყო, იყო 2 გრადუსი ყინვა, მატჩი მიმდინარეობდა დამაბულად. კიეველებმა გაიმარჯვეს. — 3:2.

დონეცკში თამაშობდნენ „შახტიორი“ და ლვოვის „კარპატი“. დონეცკელები წლეულს არასტაბილურად გამოდიან. ლვოვის გუნდი კი ლიდერია. აქ უკიმპრომისო ბრძოლა გაიმართა. ფრე — 0:0.

უკანონელთა მეორე წყვილი „ზარია“ და „დნეპრი“ ეროროშილოგრადში ასპარეზობდნენ. მასპინძლები გამოკვეთილი აუტსაიდერები არიან, მაგრამ არც სტუმრებს ჰქონდათ საქმე სანუგეშოდ. „დნეპრი“ დამარცხდა — 1:2.

ერევანში „არარატის“ წინააღმდეგ თამაშობდა „ჩერნომორეცი“. გამიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0 და ქულათა (10) რაოდენობით გაუთანაბრდნენ ოდესელებს.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ვაზოსანულის გათამაშების ჩემპიონი ადგილობრივი „დინამო“ და ლენინგრადის „ზენიტი.“ ორივე გუნდს 11-11 ქულა ჰქონდათ და სპორნო ადგილებზე პრეტენზიას აცხადებენ. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „დინამომ“.

დღეს გაიმართება კიდევ ორი შეხვედრა. კუბანშეიში თამაშობენ „ერილია სოვეტოვი“ და მოსკოვის „სპარტაკი“, ხოლო მოსკოვში — დედაქალაქის გუნდები „ლოკომოტივი“ და ცსკა.

ფეხბურთის მატჩ-ტურნირი

სამთა მატჩ-ტურნირზე იტალიის ქ. ვარეზეში დამთავრდა მეორე წრე. უკანასკნელ პარტიაში ერთმანეთს შეხვდნენ პორტიში და პატროსიანი. უნგრელმა დიდოსტატმა თეთრებით ვერ მიაღწია უპირატესობას და მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ამოიგავდ, სამივე დიდოსტატმა ითამაშა ოთხ-ოთხი პარტია. ახლა წინ არის პეტროსიანი, რომელსაც 2,5 ქულა აქვს, პორტიშმა მოაგროვა 2 ქულა, ტალმა — 1,5.

მესამე წრის პირველ პარტიაში ტალი თეთრებით ეთამაშება პეტროსიანს.

შაგაროვის „სპორტლოტო“

პირველი ტირაჟი: 7 (ველოსპორტი-ტრეკი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 19 (თხილამურები), 9 (წყალბურთი), 1 (ალთბურთი).

მეორე ტირაჟი: 23 (წყალჯოგირდობა), 9 (წყალბურთი), 30 (სტენდის სროლა), 31 (ძალოსნობა), 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი).

ფეიდჯერ გაზოგეო...

ჰადრაპის ნამდვილი გულმემატკივრისათვის არ არსებობს დილემა: ჭადრაკი თუ ფეხბურთი. მეცხრე ტური დაემთხვა თბილისისა და მინსკის დინამოელთა შეხვედრას, მაგრამ, გასაგებია, რომ ბევრმა გულშემატკივარმა ტური არ გაცდინა, რომელიც მეტისმეტად საინტერესო გამოდგა.

ინტერესს, პირველ რიგში, ზაიცევა-გაფრინდაშვილის პარტია იწვევდა. მსოფლიოს ჩემპიონმა უფიმცევის დაცვას მიმართა, რომელიც მას, რომ იტყვიან, ძირფესვიანად აქვს დამუშავებული. რა თქმა უნდა, ზაიცევასა და მისი მწვრთნელის — პერსიცასთვის ეს არჩევანი მოულოდნელი არ ყოფილა. შემდგომ მკაცრ ბრძოლაში მსოფლიოს ჩემპიონმა უკეთესი პოზიცია და ორი კუს უპირატესობა მიიღო. პარტია ჩადიდო. წინ კიდევ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

ამ ტურნირში ალექსანდრია ხშირად ხვდება ძლიერ ციტენტში, რაც მას არაფერს სასიკეთოს არ უჭმდა. ნორჩ ოოსელიანთან შავებით ალექსანდრიამ ვერ მეძლო დაცვის დამამყოფილებელი გეგმის მონახვა. ოოსელიანს ძლიერ უწყობდა ხელს მეტოქის ძლიერი ციტენტი. ნორჩმა მოჭადრაკემ, რომელსაც მახვილი ტაქტიკური თვალი აქვს, შეწირა ფიგურა და გაიმარჯვა. ოოსელიანის თანმიმდევრული თამაში ამ პარტიაში უთუოდ აღნიშვნის ღირსია.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლევიტინა-სემიონოვას პარტიას. ორივე მოჭადრაკე ფრიად აგრესიულია. მათ შეხვედრაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, პირველად ვინ დაეუფლებოდა ინიციატივას. პარტია გადაიდო, მაგრამ მისი შედეგი ექვს არ იუვენს — სემიონოვა ვერ დააღწევს თავს დამარცხებას.

„შვიდჯერ გაზომე, ერთხელ მოსჭერი“ — კისლოვამ დაიგიწყა ეს სიბრძნე და ნაჩქარევი გადწყვეტილება მიიღო. გურიელსაც ეს უნდოდა. სხვა შეხვედრებში ბრძოლა ის-ის იყო იწყებოდა, როდესაც გურიელი უკვე სავსებით მარტივ პოზიციაში ზედმეტი ხარისხით დარჩა და თანაც გამსვლელი პაიკი ამაძრავა. კისლოვა დანებდა. ჩიბურდანიძე-ახშარუმოვის შეხვედრაში თბილისელი მოჭადრაკე სერიოზულად შეიდა. ახშარუმოვმა ჯერ ვერ გამოიყენა ეს შეცდომა, მაგრამ, როდესაც „მეორე ცდის“ საშუალება მიეცა, მატერიალური უპირატესობა მოიპოვა. მართალია, ჯერ დაფაზე ბევრი ფიგურაა, მაგრამ მოსკოველის მდგომარეობა აშკარად უკეთესია. რა თქმა უნდა, ბელავენეცი გამოეთხოვება საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდებას. მას შეცდომა შეცდომაზე მოსდის — ამჯერად საუნინასთან დამარცხდა. მეცხრე ტურის წინ ჩამოუწერო „შაშვეოომა ძალამ“— მისმა მწვრთნელმა ოსტატმა იურკოვმა. მაგრამ ახლა ბელავენეცის საბურნირო მდგომარეობა უნუგეშოა — იგი ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. ფომინას აქამდე მოგება არ ჰქონია, მაგრამ ახლა აშკარა უპირატესობით გადადო პარტია ზატულოვსკაისთან. ეპშტეინმა, რომელიც საიდუმლო ფავორიტად კატეგორიას უნდა მივაკუთნოთ, დაამარცხა კახაბრიშვილი და შეჯიბრების ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

გუშინ მეათე ტურში გაფრინდაშვილი და ლევიტინა ყაიმზე შეთანხმდნენ. ალექსანდრიამ მოუგო საუნინას, სემიონოვამ — კახაბრიშვილს, ახშარუმოვამ — ოოსელიანს, ფომინამ — ეიგიანეს.

გ. ბამრეკელი.

თასი — „საქბამშენის“ ფეხბურთელებს

ბამის მთელ დასავლეთ უბანზე შემოდგომა თბილი და მზიანი იყო. ამიტომ მაგისტრალის მშენებლებმა საშური დღეები მუშაობამდე და სპორტშიც მაქსიმალურად გამოიყენეს.

უსტ-კუტში დამთავრდა თასის გათამაშება ფეხბურთში. მონაწილეობდა ექვსი გუნდი, მათს შორის იყვნენ ნია-გრუზინსკაიას სპორტსმენებიც, რომელთა კოლექტივი „საქბამშენის“ ხახელს ატარებს.

ქართველ მშენებელთა გუნდმა შეჯიბრება წარმატებით განვლო და ფინალში შეხვდა ქ. უსტ-კუტის „ტორპედოს“. გაიმარჯვეს ჩვენმა ბიჭებმა და გარდამავალი თასი მოიპოვეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს გუნდის მეკარე რ. თოფურია და თავდამსმელი ზ. კვაჭაძე.

ფეხბურთის ფინალური მატჩის დღეს ჩატარდა ქალაქის პირველობა კროსში. 1000 მეტრზე ქალთა შორის გაიმარჯვა „საქბამშენის“ წარმომადგენელმა ა. ფალავამ.

მოახლოვდა ზამთარი. ახლა ნიელი სპორტსმენები ვარჯიშს თავიანთ ახლადგაგებულ ვრცელ სპორტულ დარბაზში განაგრძობენ.

ნადეჟდა დვალიშვილი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ბამი. ნია-გრუზინსკაია.

ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე, სკკპ წევრი, პროფესორი ქსენია ალექსის ასული სიხარულიძე.

ქს. სიხარულიძე დაიბადა 1911 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლეთსუბანში; დაწყებითი და საშუალო განათლება მიიღო ბათუმში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1934 წლამდე იყო საშუალო სკოლების პედაგოგი, შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფოლკლორის განყოფილების, რუსთაველის სახელობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი. 1968 წელს იგი აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგედ. ამავე დროს განაგრძობდა მუშაობას რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

განსვენებულმა მეცნიერული წრთობა მიიღო თბილისისა და ლენინგრადის უნივერსიტეტებში. იგი ავტორია 200-ზე მეტი ნაშრომისა, რომელთაგან 24 ცალკე წიგნად არის გამოცემული.

საყოველთაოდ ცნობილია ქს. სიხარულიძის მონოგრაფიული ნაშრომები ფოლკლორზე. მან ქართველ ხალხს ჩაუთვლის ქართული ხალხური საისტორიო ზეპირსიტყვიერება“. იგი თანაავტორია ქართულსა და რუსულ ენებზე გამოცემული „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედების“ სამტომეულისა, ავტორია სტუდენტთა სახელმძღვანელოებისა. მისი „ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია“ ორჯერ გამოიცა.

ქს. სიხარულიძე იყო მონაწილე ფოლკლორისტთა და ეთნოგრაფთა არაერთი რესპუბლიკური, საკავშირო და მსოფლიო ფორუმისა, ნარატიული ფოლკლორის შემსწავლელთა საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილი წევრი.

ოვაწლმოსილი მეცნიერი მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. მისი ნაყოფიერი მოღვაწეობის აღიარება იყო დაბადების 60 წლისთავის იუბილე, რომელიც ჩვენმა საზოგადოებრიობამ 1971 წელს აღნიშნა, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებითა და სიგელებით.

ცნობილი მეცნიერისა და პედაგოგის ქს. სიხარულიძის ნათელ ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, აღზრდილებისა და ნაცნობების გულში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი; საქართველოს საისტორიო საზოგადოება.

ჩვენი ქინოპაფიშა

არ დაიჯერო, რომ ალარა ვარ

ამ რამდენიმე წლის წინათ ალპინისტებმა კავკასიონის მთებში, მარუხის უღელტეხილზე, ომის დროს დალუპული ჭარისკაცის საველე ჩანთა აღმოაჩინეს, ჩანთაში სხვა ნივთებთან ერთად შინ გაუგზავნელი წერილები ნახეს...

სწორედ ეს ფაქტი დაედო საფუძვლად ქართველი კინორეჟისორის ყარამან მგელაძის ახალ მხატვრულ ფილმს „არ დაიჯერო, რომ ალარა ვარ“. ფილმი 7 ნოველისაგან შედგება.

სცენარის ავტორები არიან ლევან ჭელიძე და ყარამან მგელაძე. ოპერატორია გიორგი ჭელიძე, მხატვარი — დიმიტრი თაყაიშვილი, კომპოზიტორი — ნუგზარ ვაწაძე.

ფილმში მონაწილეობენ დოდო აბაშიძე, ხუსინლია თაყაიშვილი, ლია ელიავა, ზურაბ ლაფერაძე, თენგიზ არჩვაძე, გურამ ლორთქიფანიძე, კოტე მახარაძე. (კინოსტუდია „ქართული ფილმი“).

ჩირადაც არ მიღირს

თითქოს და ბედმა განგებ შეაკავშირა ერთმანეთს ორი უთანხმოებაში ჩაფლული ადამიანი. ფიზიკური აღნაგობითაც მათ შორის უდიდესი კონტრასტია: ტანადი ლიდა კეთილი და თბილი ხასიათის ქალია, პატარა ტანის სტეფანი — ჭირვეული და ჯიუტი. ერთ დღეს სოფელში სტუდენტი ბიოლოგი ვადიმი გამოჩნდა...

ფილმი გადაღებულია რეჟისორისა და მსახიობის სერგეი ნიკოლენკოს მიერ. მთავარ როლებში: ლიდია ფედოსეევა-შუკშინა, სერგეი ნიკოლენკო და ნიკოლოზ ბურლაიევი. (კინოსტუდია „მოსფილმი“).



მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ვერონიკა დაგვიბრუნდა“, ფერადი გამოსახულებით, 19.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „სხვათა შორის ყანნები“, „ბუნებასთან მეგობრობით“, 20.25 — მხატვრული ფილმი „ბრძოლა გამარჯვების შემდეგ“. მეორე სერია (ქართულ ენაზე).

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

17 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით, (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“, ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — შვილსწავლოთ რუსული ენა“, 11.45 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „წვეთი ზღვაში“, 12.50 — კინოჟურნალი, 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — ცეროდენას ეკრანი (ქართულ ენაზე), 13.50 — კინოგაზეთი, 14.20 — „საჭადრაკო სკოლა“, 14.50 — საბავშვო სატელევიზიო ჟურნალი „მოზაიკა“, 15.50 — კინონარკვევი, 16.00 — დღეს კვეის მრეწველობის მუშაკთა დღეა — სტუდიაში საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის მინისტრი ი. ლენინი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.15 — „კინოსმოყვარულთათვის“, 17.15 — მულტფილმები, 17.25 — „ადამიანი და გარემო“, 18.00 — „საერთაშორისო პანორამა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცეცხლის მახლობლად“. ფერადი გამოსახულებით, 18.50 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 19.30 — „კინომოგზაურთა კლუბი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მამისეული ტყე“. ფერადი გამოსახულებით, 21.00 — საესტრადო კონცერტი, 21.30 — „მწერალი და ხუთწლედი“ — პოეტი ნ. ჯალალონია, 22.00 — „ვრეგმია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატზე“, 22.40 — „კინოლექტორიუმი“.

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ვერონიკა დაგვიბრუნდა“, ფერადი გამოსახულებით, 19.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „სხვათა შორის ყანნები“, „ბუნებასთან მეგობრობით“, 20.25 — მხატვრული ფილმი „ბრძოლა გამარჯვების შემდეგ“. მეორე სერია (ქართულ ენაზე).

თეატრები

17 ოქტომბერი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — დრამული (პრემიერა დღისით), კაბუკიური ცარცის წრე (საღამოს); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხისტლიანი ქორწილი (დღისით და საღამოს); ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჯერ ნაბიჯცენტ, მერე იქორწინეს (დღისით), ლამპანელი (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — ფული და სიყვარული; ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — მოსაფუნი ფლეების ქრონიკა (პრემიერა).

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
ოქ. წერეთლის პროსპ. № 2
20 ოქტომბერს
ფეხბურთი
ევროპის თასების მფლობელთა თასზე
„დინამო“ (თბილისი)-მატ (ბუდაპეშტი, უნგრეთი)
დასაწყისი 19 საათზე.
ბილეთები გაიყიდება: ორგანიზაციებში — 18 და 19 ოქტომბრის დილის 10 საათიდან, ყველასათვის — 20 ოქტომბრის დილის 10 საათიდან სტადიონის ხელარიებში.

ქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის ხოლქო კომიტეტი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი
ვლადიმერ გედევანის-ძე
ცხოვრებაშვილი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მსოფლიოს ამბები

ფაქტები
პრობლემები

საკვანძო

გულითადი შეხვედრა

სტუმრად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშებთან

იენა. (საკადრო). საბჭოთა კოსმონავტები ვ. თ. ბიკოვსკი, ვ. ვ. აქსიონოვი, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იმყოფებიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ე. ჰონეკერის მოწვევით, ეწვივნენ სახალხო საწარმო „კარლ ცეის იენას“ მისი კოლექტივისათვის სამახსოვრო დღეს. მრავალზონალური ფოტოაპარატურის შექმნაში დიდი დამსახურებისათვის საწარმო დაჯილდოვეს კარლ მარქსის ორდენით.

ხალხმრავალ მიტინგზე „კარლ ცეის იენის“ კოლექტივს მაღალი ჯილდო გადასცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ჰაგერმა.

მიტინგზე გამოსულმა ვ. თ. ბიკოვსკიმ და ვ. ვ. აქსიონოვმა ხაზი გაუსვეს, რომ მათთვის დიდად სასიხარულოა ამ ღირსშესანიშნავ დღეს იმ ოსტატებთან ყოფნა, რომლებმაც შექმნეს შესანიშნავი აპარატურა შეუფერხებლად რომ მუშაობდა კოსმოსურ „სოიუზ-22“ საბჭოთა ხომალდზე.

საბჭოთა კოსმონავტები მიტინგის შემდეგ გაეცნენ საწარმო „კარლ ცეის იენის“.

შემდეგ ვ. თ. ბიკოვსკიმ და ვ. ვ. აქსიონოვმა დაათვალიერეს ყოფილი ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკი ბუჰენვალდი, სადაც ჰიტლერ სცეს ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნას.

შეთქმულება ჩაიფუშა

კომორის უშიშროების ორგანოებმა აღმოაჩინეს რეაქციული ძალების შეთქმულება

ანტანანარივუ. (საკადრო). კომორის უშიშროების ორგანოებმა აღმოაჩინეს რეაქციული ძალების შეთქმულება, ოომლის მიზანი იყო ქვეყნის ახლადნაფილი მთავრობის დამხობა.

მორონში გამოქვეყნებულ კომორის სახელმწიფოს საზოგადოებრივი უშიშროების სამმართველოს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ შეთქმულება მოამზადეს იმპერიალისტურმა წრეებმა და შინაურმა რეაქციამ. შეთქმულთა სათავეში იდგა სახელმწიფოს ყოფილი მეთაური აჰმედ აბდალა, რომელიც გასული წლის 3 აგვისტოს დაამხეს. გამორკვეულია აგრეთვე კუნძულ მაიოტის სპპარატისტთა მეთაურის მარსელ ანრის მონაწილეობა შეთქმულებაში. რეაქციონერები, ხაზგასმულია კომუნიკეში, გეგმავდნენ რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან დაქირავებულთა რაზმების გადასხმას კომორის კუნძულებზე.

ამქამად ქვეყნის ყველა რაიონში იმართება მასიფესტაციები მთავრობის მხარდასაჭერად. მათი მონაწილენი გულისწყრომით აცხადებენ პროტესტს იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და მათი დამქაშების ძირგამომთხრელი მოქმედების წინააღმდეგ აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციის წევრი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიმართ.



ლიუცერნის (შვეიცარია) ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლები უჩვენებენ (ხურათზე) საბჭოთა სტეკვის ხაზინაალმდეგო რაკეტას „ლრუბელს“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში თავისი ეფექტიანობით.

რაკეტის შედარებით დიდი ღირებულება, გამომგონებელთა აზრით ბევრად ნაკლებია იმ ზარალზე, რასაც ხეტყვა იწვევს. გამოყენების შემდეგ რაკეტა კვლავ დედამიწაზე ბრუნდება სპეციალური პარაშუტის მეშვეობით.

აპ-ახალი ამბების საააგენტოს ფოტო.

ეს საინტერესოა

წყალზე — მარ